**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**
**დადგენილება №01-05-04/127**

ქ. თბილისი 29 მაისი 2018

**სტუ-ის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტში**
**განმეორებითი კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ გ. ბიბილეიშვილის 2018 წლის 17 მაისის №01-09-33/2450 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 მაისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს განმეორებითი კონკურსი სტუ-ის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტში 2 მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე (0,5 საშტატო ერთეული);
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცება;
3. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე ეთხოვოს სტუ-ის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ გიორგი ბიბილეიშვილს;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**